საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ადეიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**93**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ირაკლი ადეიშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ირაკლი ადეიშვილი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.4. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ნაწილი ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი - ირაკლი ადეიშვილი

ასაკი: 46 წლის

დაბადების თარიღი: 9 ოქტომბერი, 1974წ.

განათლება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული.

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 21 წელი

სამუშაო ადგილი: სს „სილქნეტის" იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტი;

მედიატორი

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ირაკლი ადეიშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და

სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, კომპეტენციას, კეთილსინდისიერებასა და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის ნაკლოვანებად უთითებს, რომ „საქმიან ურთიერთობებში იგი ზედმეტად ენდობა ადამიანებს".

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად, ხოლო ერთ-ერთი რესპოდენტი მის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- ირაკლი ადეიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, კანდიდატის მიმართ ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილი („მოძრაობის წესების დარღვევა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას"; გაფრთხილება, 1 შემთხვევა; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-7 ნაწილი („პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა"; ჯარიმა - 50 ლარი, 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის 7[1] ნაწილი („შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა"; ჯარიმა - 50 ლარი, 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი).

დაკისრებული სახდელების მიუხედავად, მათი დროულად გადახდის ფაქტი და მოძიებული ინფორმაცია **მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

2. <u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ადეიშვილის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ განხორციელებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით:

ირაკლი ადეიშვილი იყო მოსარჩელე N27921-15 სამოქალაქო საქმეზე (დავის საგანი - პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა). თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად დატოვეს ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებმა).

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით:
ირაკლი ადეიშვილის მიმართ არ მოიპოვება ინფორმაცია დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით.

ყოველივე აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან

ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის მიუკერძოებლობა და პატიოსნება, ამდენად ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ირაკლი ადეიშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა ირაკლი ადეიშვილის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინება, საქმე N2ბ/1993-14 (დავის საგანი - ფულადი ვალდებულების

შესრულება).

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N2ბ/671-13 (დავის საგანი - ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა).

ასევე გავეცანი კანდიდატის სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციებს:

- „ქალთა უფლებების დაცვის ტენდენციები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში".

  „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი. პრეცედეტნული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში".

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ ირაკლი ადეიშვილი არის მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა. იგი ასევე კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა სიღრმისეულად ისაუბრა პოზიტიური და ბუნებითი სამართლის განსხვავებულობაზე, რა მიზნითაც მოიხმო და დაეყრდნო ჰანს კელზენის თეორიას. კანდიდატმა ასევე სრულყოფილად ისაუბრა ევროსასამართლოს სტრუქტურაზე, მისი მოწყობის წესზე და პრინციპებზე, განმარტა ევროპული კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობა.

კანდიდატის პასუხები, რომლებიც უკავშირდებოდა დისკრიმინაციას, მათ შორის, პოზიტიურ დისკრიმინაციას, იყო ამომწურავი. კანდიდატმა იმსჯელა მკაცრი შეფასების და რაციონალური დიფერენციაციის ტესტებზე, იმსჯელა პირის უფლებაზე, „იყოს დავიწყებული", ისაუბრა „სასამართლოს მეგობრის" ინსტიტუტის მნიშვნელობაზე და მის სამართლებრივ დატვირთვაზე; სწორი იყო კანდიდატის პასუხი, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო დაცვის გარანტიებს. კანდიდატი ვრცლად და საინტერესოდ შეეხო ცილისწამების და ამ მიმართებით უფლების დაცვის მექანიზმების გამოყენების საკითხს. სწორი და გააზრებული იყო კანდიდატის პასუხი უვადო თავისუფლების აღკვეთის საკითხზე, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კონტექსტში.

კანდიდატმა გამოავლინა ისეთი პრაქტიკული საკითხების კარგი ცოდნა, რომელიც უკავშირდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, ზიანის ანაზღაურების უფლებას, შებრუნებითი უზრუნველყოფის საპროცესო ინსტრუმენტის მნიშვნელობას და პრაქტიკაში მისი გამოყენების პრობლემატიკას.

სიღმისეული და ამომწურავი არ იყო კანდიდატის პასუხი საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ სად გადის ზღვარი ამ ორ სასამართლოს შორის ნორმატიული აქტების კონტროლის კუთხით, ასევე პასუხი, რომელიც უკავშირდებოდა არათანაბარი მოპყრობის საკითხს, ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას.

ამომწურავი არ იყო პასუხი, რომელიც შეეხებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის ამორიცხვის საკითხს, თუმცა ვთვლი, რომ ზოგადად, კანდიდატმა გამოავლინა სამართლის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების კარგი ცოდნა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის ათწლიანი გამოცდილება. გადაწყვეტილებები ძირითადად დასაბუთებულია კარგად, არის სტრუქტურულად სწორად კონსტრუირებული, მათში ასახულია ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილია ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებელი

კანდიდატი გადაწყვეტილებებში ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, წინადადებები არის მწყობრი, სისტემური და გამართული.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო პუბლიკაციები მაძლევს საფუძველს დასკვნისთვის, რომ კანდიდატს გააჩნია წერის მაღალი კულტურა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ამ მახასიათებელში კანდიდატს ვაფასებ - 19 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

ირაკლი ადეიშვილი აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, მისი მსჯელობა არის მწყობრი, ლოგიკური და სიღრმისეული, აქვს საუბრისა და მოსმენის მაღალი კულტურა. საუბრის პროცესში არის ღია და გახსნილი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

კანდიდატის მხრიდან მისი სამოსამართლო საქმიანობის პროცესში არაეთიკური, არაკორექტული ან სხვა უფლებებისა თუ ღირსების შემლახავი ფაქტი არ გამოვლენილა.

აღსანიშნავია, რომ საქმეთა განხილვის სტატისტიკური მონაცემები კანდიდატთან დაკავშირებით მოძიებული ვერ იქნა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 14 ქულით.

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი.

- 1997 – 1998 წლებში სწავლობდა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ქ. ბუდაპეშტი), არის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი;
- 2016 წლიდან სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში, სადისერტაციო თემა - კომერციული იურიდიული პირების უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით.

- 2005 წლიდან არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი.
- 2019 წლიდან არის სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" წევრი.

- ირაკლი ადეიშვილი იყო Ad hoc მოსამართლე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, არსებითად განხილული საქმეებში - # 30097/03 მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ; # 25091/07 ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ.

- კანდიდატის მითითებით, ის იღებდა სტიპენდიას ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში სწავლისათვის. (სოროსის ფონდი - ღია საზოგადოება საქართველო).

- კანდიდატი არის დოქტორანტი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში, იგი ავტორია რამდენიმე სამართლებრივი ნაშრომის, რომლებიც გამოყენებადია როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მიზნებისათვის.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 93 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.